



TB REP



ამბულატორიული სერვისების
გაძლიერების გზით
ტუბერკულოზის მართვის პაციენტზე
ორიენტირებული მოდელის დანერგვის
ადვოკაციის სტრატეგია

11 აგვისტო, 2016

ადვოკაციის სტრატეგიის მნიშვნელობა

- ▶ ადვოკაცია საქართველოში, ძირითადად, ფოკუსირებულია ტუბერკულოზთან დაკავშირებული სტიგმის დაძლევისა და საბაზისო სადიაგნოსტიკო და სამკურნალო სერვისების და წამლების ხელმისაწვდომობის შენარჩუნებაზე.
- ▶ ადვოკაცია სტაციონარული დახმარებიდან ტუბერკულოზის ამბულატორიული მართვის მოდელზე გადასვლისთვის მინიმალურია, თუ საერთოდ ხდება.
- ▶ ადვოკაციის წარმოდგენილი აქტივობები მაღალი დონის გადაწყვეტილების მიმღებთა მხარდაჭერის მოპოვების საშუალებას იძლევა, რაც გავლენას მოახდენს ტბ პროგრამის დაფინანსების პოლიტიკური და პროგრამული გადაწყვეტილებების მიღებაზე და გააუმჯობესებს პაციენტების დახმარებას და ტბ სერვისის მიწოდებას.

რა არის ადვოკაცია?

- ▶ ამ სტრატეგიის მიზნებისთვის ადვოკაცია განიმარტება, როგორც პროცესი, რომლის მიზანია გადაწყვეტილების მიმღებთა განათლება და გავლენა მათზე იმისთვის, რომ ხელი შეუწყოთ პოლიტიკისა და პროცესის ცვლილებას ხალხზე ორიენტირებული ტბ დახმარების, განსაკუთრებით კი ამბულატორიული ტბ სამსახურების გაძლიერების სასარგებლოდ.

პაციენტზე ორიენტირებული დახმარება

- ▶ შესაბამის შემთხვევებში პაციენტის მიერ საკუთარი თავის მოვლის და ასევე, დახმარების საცხოვრებელთან რაც შეიძლება ახლოს გაწევის შესაძლებლობის შექმნა, უსაფრთხო და ხარჯ-ეფექტური გზებით
- ▶ პაციენტზე ორიენტირებული მიდგომა აერთიანებს ეფექტურ ამბულატორიული მოდელებს (ანუ ბინაზე-, სათემო-, და ამბულატორიულ სამედიცინო დაწესებულებაში გაწეული დახმარება) და ხელს უწყობს მკურნალობის დამყოლობას თითოეული პაციენტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების ჩათვლით

ადვოკაციის სტრატეგიის ჩარჩო

- ▶ რა არის პრობლემა?
- ▶ როგორია გადაწყვეტა?
- ▶ რა ცვლილებებია საჭირო ერთიდან მეორემდე მისაღწევად?
- ▶ როგორია ამ ცვლილების განხორციელების ყველაზე ეფექტური გზები?
- ▶ როგორ უნდა მივაღწიოთ ამ ცვლილებას?

ამ ადვოკაციის ძირითადი აუდიტორია

- ▶ ადგილობრივი/რეგიონული – ლიდერები, რომლებიც გავლენას ახდენენ გადაწყვეტილებებზე ამ ქალაქის, რაიონისა თუ რეგიონისთვის მნიშვნელოვანი ინიციატივების შესახებ;
- ▶ ნაციონალური - გადაწყვეტილების მიმღებნი, რომლებიც გავლენას ახდენენ მთელი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე ინიციატივების და დაფინანსების კუთხით.
- ▶ საერთაშორისო - გადაწყვეტილების მიმღებნი, რომლებსაც საკმაოდ დიდი გავლენა აქვთ ერთზე მეტი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ინიციატივებზე.

სხვა შესაბამისი ტერმინები

- ▶ ლობირება - განისაზღვრება, როგორც ძალისხმევა კანონმდებლობის კონკრეტულ ნაწილზე ზეგავლენისთვის.
- ▶ პოლიტიკა - შეიძლება იყოს გეგმა, სტრატეგია ან დღის წესრიგი; მოქმედების პროგრამა ან კურსი; საბიუჯეტო გადაწყვეტილება; კანონმდებლობის ნაწილი; ან მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციის თუ ინსტიტუციის მიერ გამოცემული რეგულაციები ან პროტოკოლები.
- ▶ პოლიტიკის შემმუშავებელი - მთავრობის წევრები ან პირები, რომელთაც აქვთ ფორმალური პოლიტიკური ძალაუფლება (მაგ. პარლამენტარები, მინისტრები თუ სააგენტოების ხელმძღვანელები და მათი პერსონალი) და უშუალოდ იღებენ გადაწყვეტილებას პოლიტიკის შესახებ ადვოკაციის უპირველესი სამიზნეა.

ადვოკაციის სტრატეგიის მონახაზი

- ▶ პრობლემა
- ▶ ზოგადი მიზანი
- ▶ კონკრეტული მიზნები
- ▶ მოსალოდნელი შედეგები
- ▶ აქტივობები
- ▶ ამ აქტივობების უშუალო შედეგები
- ▶ განრიგი
- ▶ რისკები
- ▶ სამიზნეები (ძირითადი გადაწყვეტილების მიმღებნი)
- ▶ პარტნიორები და ოპონენტები
- ▶ ადვოკაციის მესიჯები
- ▶ შესაძლებლობები და ღონისძიებები

პრობლემა: სტრატეგიაში ასახული ძირითადი გამოწვევები

- ▶ მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის ტვირთი რჩება მაღალი, 41% წარმატებული მკურნალობის მაჩვენებლით (2013 წ. კოჰორტა)
- ▶ სტაციონარული სერვისების გამოყენება ჯერ კიდევ ინტენსიურია
- ▶ არ არის საკმარისი რესურსები მაღალი ხარისხის და პაციენტზე ორიენტირებული სერვისის მიწოდებისთვის ამბულატორიული ტბ სამსახურების მიერ:
 - DOT ტარდება დაწესებულებაში;
 - არ ხდება ადგილზე მომსახურების (Outreach services) ხელშეწყობა;
 - DOT მიმართ ინოვაციური მიდგომები, მაგ ვიდეო DOT არ არის დანერგილი;
 - სერვისის პროვაიდერთა ანაზღაურება ძალიან დაბალია;
 - ინფექციის კონტროლის ზომები ზოგადი პროფილის დაწესებულებებში არასაკმარისია
- ▶ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მექანიზმები ხანგრძლივი სტაციონარული მკურნალობის წამახალისებელია, როგორც რეგულარული, ისე რეზისტენტული ტუბერკულოზის შემთხვევაში და არ ითვალისწინებს კარგი პრაქტიკის წახალისებას მკურნალობის უკეთესი შედეგების შემთხვევაში.

ტბ ადვოკაციის სტრატეგიის სახელმძღვანელო პრინციპები (1)

- ▶ განვიხილოთ ტუბერკულოზი, როგორც გლობალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემა, რომელიც სისტემურ, მრავალგანზომილებიან და ყოვლისმომცველ პასუხს მოითხოვს
- ▶ განვიხილოთ რეფორმები, რომელიც მიზნად ისახავს ტუბერკულოზის პროგრამის ძირითადი ფუნქციების ჯანდაცვის საერთო სფეროში ინტეგრაციას
- ▶ განვიხილოთ ტუბერკულოზის ამბულატორიული მოდელის განვითარება პირველადი ჯანდაცვის სისტემის მიმდინარე რეფორმის კონტექსტში
- ▶ შევიმუშაოთ ადვოკაციის ჩარჩო, რომელიც გავლენას მოახდენს გადაწყვეტილების მიმღებებზე ზემოდან ქვემოთ და ქვემოდან ზემოთ

ტბ ადვოკაციის სტრატეგიის სახელმძღვანელო პრინციპები (2)

- ▶ შევქმნათ მტკიცებულებები ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში დახმარების მიზნით (განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეკონომიკურ შეფასებებს, მათ შორის ეფექტურობის და ალოკაციური ეფექტურობის კვლევები)
- ▶ გავითვალისწინოთ საუკეთესო პრაქტიკა და წარმატებული საერთაშორისო გამოცდილება პაციენტზე ორიენტირებული ტბ დახმარების მოდელების თაობაზე
- ▶ მივაწოდოთ სამიზნე აუდიტორიას კარგად მორგებული მესიჯები პირველი დღიდანვე ამბულატორიული დახმარების ხელშეწყობისთვის
- ▶ მივაწოდოთ სამოქალაქო ორგანიზაციებს მარტივი და საიმედო ინსტრუმენტები სტრატეგიული მიზნების მიმართულების პროგრესის მონიტორინგისთვის

მიზანი

- ▶ სტრატეგიის მიზანია ტბ სერვისების ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესება ამბულატორიული ტბ სამსახურების გაძლიერების და პაციენტზე ორიენტირებული ტბ დახმარების მოდელის დანერგვის გზით.
- ▶ საბოლოოდ ამას უნდა მოჰყვეს ტუბერკულოზის მკურნალობის შედეგების გაუმჯობესება და დაავადების გავრცელების შემცირება. მოსალოდნელია, რომ ეს სტრატეგია ხელს შეუწყობს შემდეგი შედეგების მიღწევას
 - (ა) ტბ მკურნალობის შედეგების გაუმჯობესება;
 - (ბ) მულტირეზისტენტული ფორმების წილის შემცირება;
 - (გ) ტბ პროგრამის ალოკაციური ეფექტურობის გაუმჯობესება
 - (დ) სამედიცინო პერსონალსა და ზოგადად მოსახლეობაში ტბ დაკავშირებული სტიგმის შემცირება
 - (ე) ამბულატორიული ტბ მკურნალობის მიმართ დამოკიდებულების დადებითად შეცვლა და ამბულატორიულ სერვისებზე მოთხოვნის გაზრდა.

კონკრეტული ამოცანები

- ▶ ამოცანა 1: მაღალი დონის ადვოკაცია ნაციონალურ დონეზე, რათა მოხდეს გადაწყვეტილების მიმღებთა გათვითცნობიერება პაციენტზე ორიენტირებული ტბ დახმარების მოდელის მნიშვნელობის შესახებ და უზრუნველყოფილი იქნას ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის მდგრადი და ადექვატური დაფინანსება
- ▶ ამოცანა 2: პროგრამის ადვოკაცია სამედიცინო პროვაიდერთა შორის დაწესებულების მფლობელთა წახალისებისათვის, რომ მათ მხარი დაუჭირონ პერსონალის მიერ ტბ შემთხვევის მართვის უნარების განვითარებას
- ▶ ამოცანა 3: ტბ შესახებ ცნობიერების ამაღლების ნაციონალური კამპანიების ჩატარება ამბულატორიულ დონეზე ტბ მკურნალობის სარგებლის შესახებ ინფორმირების მიზნით
- ▶ ამოცანა 4: სტაციონარულთან შედარებით ამბულატორიული მკურნალობის მოდელის ეფექტურობის თაობაზე მტკიცებულებების გენერირება ტბ პროგრამის ფარგლებში თანხების განაწილების შესახებ პოლიტიკური და პროგრამული გადაწყვეტილებების მიმღებთა ინფორმირებისთვის

ტბ ამბულატორიული მართვის ადვოკაციის სტრატეგიის განხორციელების ჩარჩო

ადვოკაციის ძირითადი მიმართულებები

პოლიტიკის ადვოკაცია

პროგრამული ადვოკაცია

ადვოკაცია სათემო დონეზე

სამიზნე აუდიტორიები

ნაციონალური დონის გადაწყვეტილების მიმღებნი

კერძო სამედიცინო დაწესებულებები, ტბ პროგრამის და საზ. ჯანმრთელობის მენეჯერები ნაციონალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე

სამოქალაქო ორგანიზაციები/საქართველოს ტბ კოალიცია, ძირითადი დაზარალებული ჯგუფები

შედეგები

ტბ დაფინანსების დონე ადექვატურია ხარისხიანი ტბ სამსახურების უზრუნველსაყოფად

კერძო პროვაიდერებს შეუძლიათ ტბ ამბულატორიული მართვა

სამოქ. ორგანიზაციები სულ უფრო მეტად არიან ჩართული სათემო დახმარებაში პჯდ-თან ერთად

მოსალოდნელი შედეგები

სმლჯანა 1

- მ.შ. 1.1. ამბულატორიული ტბ დახმარების დაფინანსების გაზრდა % (საწყისი 36.9% 2014)
- მ.შ. 1.2. ტბ სტაციონარული მართვის დაფინანსების მექანიზმის გადახედვა ზედმეტი ჰოსპიტალიზაციის თავიდან ასაცილებლად
- მ.შ. 1.3. შედეგებზე (შესრულებულ სამუშაოზე) ორიენტირებული დაფინანსების მექანიზმის დანერგვა ამბულატორიული სერვისის პროვაიდერთა ტბ მკურნალობის შედეგების გაუმჯობესებაში დაინტერესების ამალღებისტვის

სმლჯანა 2

- მ.შ. 2.1. პაციენტთა რაოდენობა/% ვისაც DOT ჩაუტარდა პირველადი ჯანდაცვის პროვაიდერთან (საწყისი 21% 2015)
- მ.შ. 2.2. ტბ რეზისტენტული ფორმით დაავადებული პაციენტების გაზრდილი რაოდენობა და % წილი, ვისაც პირველივე დღიდან ამბულატორიული მკურნალობა უტარდება

სმლჯანა 3

- მ.შ. 3.1. ტბ დაკავშირებული სტიგმის შემცირება სამედიცინო პერსონალსა და ზოგადად მოსახლეობაში
- მ.შ. 3.2. ტბ დაკავშირებული ცოდნის და სამედიცინო დახმარებისთვის მიმართვიანობის გაუმჯობესება

სმლჯანა 4

- E.R.4.1. ტბ პროგრამის ალოკაციური ეფექტურობის გაუმჯობესება

პოლიტიკის ადვოკაცია (ამოცანა 1): აქტივობები

- ▶ ჯანდაცვის სამინისტროს და ტეპ-ის ლიდერთა იმ მაღალი დონის გლობალურ და რეგიონულ შეკრებებში მონაწილეობის მხარდაჭერა, რომლებიც მიზნად ისახავენ პაციენტზე ორიენტირებული ტბ მართვის მოდელის დანერგვას.
- ▶ მაღალი დონის ადვოკაციის შეხვედრების მოწყობა ტეპ-ის წინაშე არსებული გამოწვევების და ამბულატორიულ სამსახურებში რესურსების გადანაცვლებით მათი გადაწყვეტის შესაძლებლობათა წარმოსაჩენად.
- ▶ ჯანდაცვის სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებთან შეხვედრა შედეგებზე ორიენტირებული დაფინანსების მექანიზმის ადვოკაციისთვის, რაც ხელს შეუწყობს ამბულატორიული სერვისის პროვაიდერთა მოტივაციას ტბ მკურნალობის უკეთესი შედეგის მისაღწევად.

პროგრამული ადვოკაცია (ამოცანა 2): აქტივობები

- ▶ ნაციონალური ადვოკაციის შეხვედრებზე ამბულატორიული ტბ დაწესებულებების მენეჯერთა მონაწილეობის მხარდაჭერა
- ▶ ტბ და რეზისტენტული ტბ შემთხვევების მართვის თაობაზე სემინარების მოწყობა იმ კერძო სამედიცინო დაწესებულებების მენეჯერთათვის, რომლებსაც აქვთ ამბულატორიული ტბ სერვისი
- ▶ ინდივიდუალური შეხვედრების მოწყობა და ვიზიტები ამბულატორიულ ტბ დაწესებულებებში სერვისის მოწოდებაზე დაკვირვების მიზნით
- ▶ ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონიის დაწესება, რომლის დროსაც საქართველოს ტბ კოალიცია გამოავლენს საუკეთესო ამბულატორიულ კლინიკებს და აღნიშნავს მათ სამუშაოს.

სათემო ღონისძიებები (ამოცანა 3)

- ▶ ნაციონალური დონის ტბ დაინტერესებული მხარეები აფინანსებენ ადვოკაციის ტრენინგს საქართველოს ტბ კოალიციის წევრებისთვის, რომ მათ შეძლონ საქართველოში ამბულატორიული ტბ სერვისების მოდელის გაძლიერების ადვოკაცია.
- ▶ ნაციონალური დონის ტბ დაინტერესებული მხარეები ყოველწლიურად ატარებენ ცნობიერების ამაღლების სულ მცირე ორ კამპანიას, რომელიც ხაზს გაუსვამს ტბ ამბულატორიული მართვის მოდელის შესაძლებლობებს და სარგებელს
- ▶ ნაციონალური დონის ტბ დაინტერესებული მხარეები ყოველწლიურად ატარებენ სტიგმის შემცირებაზე მიმართულ სულ მცირე ორ კამპანიას, რომლის სამიზნეც იქნება ზოგადი პროფილის სამედიცინო დაწესებულებების პერსონალი
- ▶ საქართველოს ტბ კოალიცია აწყობს სოციალური მობილიზაციის კამპანიას, რომ წახალისოს დაინტერესებული პირები (constituents) დაუკავშირდნენ პოლიტიკის განმსაზღვრელებს წერილებით, პეტიციებით თუ სოციალური მედიის საშუალებით.
- ▶ საქართველოს ტბ კოალიცია მუშაობს მედიასთან ტბ დაკავშირებული თემების უფრო ფართოდ გაშუქების და ამბულატორიული დახმარების მოდელზე ყურადღების გამახვილების მიზნით.

მტკიცებულებების გენერირება ეფექტური ადვოკაციისთვის (ამოცანა 4)

- ▶ ეკონომიკური შეფასება უნდა ჩატარდეს სტაციონარულთან შედარებით ამბულატორიული დახმარების მოდელის ეფექტურობის მტკიცებულების გენერაციისთვის, რაც ხელს შეუწყობს ტბ პროგრამის ფარგლებში თანხების განაწილების შესახებ პოლიტიკური და პროგრამული გადაწყვეტილების მიღებას.
- ▶ ნაციონალური დონის შეხვედრა მოეწყობა პოლიტიკის განმსაზღვრელთათვის კვლევის შედეგების წარსადგენად და ტბ პროგრამის რესურსების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების ხელშეწყობის მიზნით

რისკები

- ▶ ძლიერი რეზისტენტობა როგორც სტაციონარული, ისე ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელთა მხრიდან
- ▶ მოდელი შესაძლოა ნაკლებად იყოს მისაღები საზოგადოებისთვის
- ▶ ადვოკაციისთვის დაფინანსების ნაკლებობა

სამიზნეები (1)

- ▶ უპირველესი სამიზნეები არიან პოლიტიკის განმსაზღვრელები/თანამდებობის პირები/და სხვა ვისაც აქვს ძალაუფლება რომ განახორციელოს ის ცვლილება, რომლის ადვოკაციაც ხდება.
- ▶ ჟურნალისტები და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე გავლენის მქონე პირები გადაწყვეტილების მიმღებებთან ერთად შეიძლება იყვნენ ადვოკაციის სამიზნე.
- ▶ სამიზნე უნდა იყოს კონკრეტული; მაგ. პირი, გაზეთი, დეპარტამენტი, კომიტეტი.
- ▶ შეადგინეთ ამ დაწესებულებების წამყვანი პერსონალის სია.

სამიზნეები (2)

- ▶ მეორადი სამიზნე არის პირი/ჯგუფი/და სხვა ვიზუალური შეგვიძლია გავლენის მოხდენა, ხოლო ისინი თავის მხრივ გავლენას მოახდენენ უპირველეს სამიზნეებზე.

პარტნიორები და ოპონენტები

პარტნიორები:

ვის ადარდებს ეს საკითხი
იმდენად, რომ
შემოგვიერთდეს ან
დაგვეხმაროს?

ვისი პრობლემაა ეს?

რას მიიღებენ ისინი მოგების
შემთხვევაში?

რა რისკზე მიდიან ისინი?

რა ძალაუფლება აქვთ მათ
სამიზნეზე?

საქართველოს ტბ კოალიცია

ოპონენტები

რა იქნება თქვენი
გამარჯვების საფასური
მათთვის?

რას გააკეთებენ ისინი
წინააღმდეგობის გასაწევად?

რამდენად ძლიერები არიან
ისინი?

საკვანძო მესიჯები

- ▶ რა არის ამბულატორიული დახმარება?
- ▶ რატომ უნდა მიენიჭოს ამბულატორიულ დახმარებას უპირატესობა?
- ▶ რა უნდა შეიცვალოს?
- ▶ რა სარგებელს მოიტანს ტბ მკურნალობის გადატანა სტაციონარიდან ამბულატორიულ პირობებში?

რა არის ამბულატორიული დახმარება

- ▶ ამბულატორიული დახმარება ეწოდება პაციენტის მკურნალობას და მოვლას საავადმყოფოს გარეთ.
- ▶ ტბ და დრ ტბ კონტექსტში ის უნდა განიხილებოდეს, როგორც სამედიცინო დახმარების სრული პროცესის ნაწილი.
- ▶ თუმცა უშუალო ზედამხედველობის ქვეშ მკურნალობა (DOT) ტბ შემთხვევის მართვის ქვაკუთხედად რჩება, ეფექტური ამბულატორიული დახმარება უნდა მოიცავდეს **ჰოლისტურ პაციენტზე ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც ხელს შეუწყობს მკურნალობაზე დამყოლობას ყოველი პაციენტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სოციალური და ეკონომიკური სირთულეების ჩათვლით**

რატომ უნდა მიენიჭოს ამბულატორიულ დახმარებას უპირატესობა

- ▶ ჯანმოს ევროპის რეგიონის მრავალ ქვეყანაში, სადაც ტბ ავადობა მაღალია პაციენტებს რუტინულად მკურნალობენ საავადმყოფოში ხანგრძლივი დროის განმავლობაში.
- ▶ ეს ხშირად არ არის აუცილებელი - უმეტეს შემთხვევებში ტბ ამბულატორიული მკურნალობა ასევე შესაძლებელია ან უფრო შესაბამისია.
- ▶ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პერსპექტივიდან, სტაციონარული მკურნალობა არ არის ტბ შემდგომი გავრცელების ეფექტური საშუალება, ვინაიდან ინფექციის გადაცემა უფრო მეტად ხდება დიაგნოზის დასმამდე და ჰოსპიტალიზაციამდე.
- ▶ სხვების ინფიცირების რისკი მნიშვნელოვნად მცირდება ეფექტური მკურნალობის დაწყებიდან 2-14 დღის შემდეგ.
- ▶ გარდა ამისა, ტბ მკურნალობამ საავადმყოფოში, სადაც ჰაერით გადაცემადი ინფექციის კონტროლი სუსტია შესაძლოა ხელი შეუწყოს ინფექციის გავრცელებას.

რა უნდა შეიცვალოს

- ▶ საჭიროა ტბ მკურნალობის ინტეგრირება პირველად ჯანდაცვაში იმ ქვეყნებში, სადაც პჯდ სისტემას აქვს ამ ფუნქციის შესრულების პოტენციალი.
- ▶ იმ ქვეყნებში, სადაც პჯდ დონეზე ტბ მართვის შესაძლებლობა ჯერ კიდევ შეზღუდულია, დროებითი ღონისძიების სახით ჯანდაცვის მესვეურებს შეუძლიათ სპეციალიზებულ ტბ სამსახურებში რეფერირებული პაციენტების ჰოსპიტალიზაციის და გამოწერის მკაფიო კრიტერიუმების შემუშავება და ამოქმედება.
- ▶ ამ ღონისძიებებთან ერთად უნდა გაძლიერდეს რეფერალის სისტემა, გადამისამართდეს ფინანსური რესურსები და სამედიცინო სერვისები გაფართოვდეს და მოერგოს პაციენტის საჭიროებებს.
- ▶ უნდა ჩატარდეს საგანმანათლებლო კამპანიები, რაც დაეხმარება სამედიცინო დაწესებულებებს და მოსახლეობას სტაციონარულთან შედარებით ამბულატორიული დახმარების უპირატესობების გააზრებაში.
- ▶ სამოქალაქო საზოგადოება და სათემო ორგანიზაციები უნა ჩაერთონ ამ აქტივობათა ყველა ასპექტში, ვინაიდან მათ მხარდაჭერას პროცესის მნიშვნელოვნად დაჩქარება შეუძლია.

რა სარგებელს მოიტანს ტბ მკურნალობის გადატანა სტაციონარიდან ამბულატორიულ პირობებში

- ▶ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის თვალსაზრისით, ტბ ამბულატორიული დახმარების ყველაზე ამკარა სარგებელი ეფექტურობა და ხარჯ-ეფექტურობაა.
- ▶ ნაკლები ტბ პაციენტების ჰოსპიტალიზაციას ასევე შეუძლია ტბ ნოზოკომიური გავრცელების შემცირება
- ▶ გარდა ამისა, ამბულატორიულ დახმარებას მოყვება მკურნალობის სრული პროცესის პაციენტსა და თემთამ უფრო ახლოს მიტანა .

სტრატეგიის განხორციელება

- ▶ ვადები: 2016 ოქტომბერი - 2018 დეკემბერი
- ▶ დაფინანსების წყაროები